საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეგარსლან ბაკურციხელი

ეგარსლან ბაკურციხელი, XIII ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. მონღოლებმა ის აღმ. საქართველოს ერთ-ერთი დუმნის (ჰერეთ-კახეთი და მის აღმ-ით მდებარე თემები შემახის მთებამდე) უფროსად დანიშნეს. მონაწილეობდა კოხტასთავის შეთქმულებაში. ჟამთააღმწერლის დახასიათებით, ე. ბ. იყო „არა ნიჭთა მქონებელი სამჵ[ედ]როთა" და „მჵედრობის წესთაგან ცარიელი", ამავე დროს „ღრმად მოუბარი", რის წყალობითაც მალე დაწინაურდა და დიდი გავლენა მოიპოვა. მეფე რუსუდანის გარდაცვალების (1245) შემდეგ, როცა დავით რუსუდანის ძე მონღოლეთში დიდი ყაენის კარზე იმყოფებოდა, ხოლო დავით ლაშას ძე მცირე აზიაში იყო დატყვევებული, ე. ბ-მა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა. ამის გამო მის წინააღმდეგ ამხედრდნენ ქართველი დიდებულები, რ-ებმაც ე. ბ. პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორეს.

წყარო: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე რ., რამდენიმე დაკვირვება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტზე, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტ. სერია, 1976, N 2; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

რ. კიკნაძე